სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/75

ქ. თბილისი

29 აპრილი 2020წ.

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებისა“ და „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულების“ ცვლილების შესახებ“

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების 21-ე მუხლის და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 29 აპრილის №01-05-02/17 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შევიდეს ცვლილებები სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 თებერვლის №2324 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების“ მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის ე) ქვეპუნქტში და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „ე) სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი და დოქტორანტის სწავლის პერიოდში, დადგენილი წესის შესაბამისად

გამოქვეყნებული ნაშრომები (სულ მცირე სამი სამეცნიერო სტატია, რომელთაგან ერთი მაინც უნდა იყოს თანაავტორების გარეშე). ერთ-ერთი ნაშრომი შეიძლება ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, თუ იგი გადაცემულია უცხოურ მაღალრეიტინგულ, რეცენზირებად/რეფერირებად გამოცემაში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიღებულია დადებითი დასკვნა და წარმოდგენილია შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია; აგრეთვე, სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების, ფორუმების, კონგრესების, სიმპოზიუმების მასალები (მინიმუმ ერთი მოხსენება); გამოგონებების, პატენტების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტები (მათი არსებობის შემთხვევაში) და მათი სია, დამოწმებული შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ;"

2. შევიდეს ცვლილებები სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 მარტის №01-05-04/44 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულების" მე-3 დანართში და ჩამოყალიბდეს წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი).
3. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**